



მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

WWW.MY.GOV.GE

ს ა ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ო ფ უ რ ც ე ლ ი

გამოშვება #70

დეკემბერი, 2018

გამოშვებაში

**„CYBER-EXE**  
საქართველო 2018“  
- კიბერსავარჯიშო  
საჯარო და კერძო  
ორგანიზაციების  
წარმომადგენლები  
სთვის

“CYBER-EXE საქართველო 2018” - კიბერსავარჯიშო  
საჯარო და კერძო ორგანიზაციების  
წარმომადგენლებისთვის



6 დეკემბერს სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში“ საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის (CERT-GOV-GE) ორგანიზებით მორიგი ეროვნული კიბერსავარჯიშო გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ

საჯარო და კერძო  
სექტორის  
წარმომადგენლებს  
კვალიფიციური  
სანდო  
მომსახურებისა და  
ელექტრონული  
სერვისების  
ერთიანი  
პორტალის  
შესახებ ტრენინგი  
ჩაუტარდათ

როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორის წარმომადგენლები.

სამუშაო შეხვედრა  
სსიპ „სმარტ  
ლოჯისტიკის“  
თანამშრომლებთან

აღნიშნული ღონისძიება წელს უკვე მეხუთედ გაიმართა და მისი მიზანია საჯარო და კომერციული ორგანიზაციების ინფორმაციული ტექნოლოგიების სპეციალისტების მომზადება კიბერშეტევების კრიზისული სიტუაციებისთვის, რაც ხელს შეუწყობს ქვეყნისა და, შესაბამისად, მოქალაქეების დაცულობას ამ მიმართულებით.

ღონისძიება გახსნა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილე **მიხეილ სარჯველაძემ**. გახსნის ცერემონიას ასევე დაესწრო **პირიტ პიკერი**, ნატოს სამეკავშირეო ოფისის დირექტორის მოადგილე, რომელმაც წარმატება უსურვა მონაწილე გუნდებს.

როგორც მიხეილ სარჯველაძემ მისასალმებელ სიტყვაში აღნიშნა, კიბერუსაფრთხოება 21-ე საუკუნის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევაა და საქართველო დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ქვეყნის კიბერუსაფრთხოების დონის ამაღლებას (გაგრძელება გვ. 2).



www.justice.gov.ge



www.house.gov.ge



www.my.gov.ge



www.sda.gov.ge



www.napr.gov.ge




www.archives.gov.ge



www.nbe.gov.ge



www.notary.ge



www.matsne.gov.ge

www.eAuction.ge  
ელექტრონული აუქციონი

www.eauction.ge



www.tbilisi.gov.ge

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 1) „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტო“ აქტიურად მუშაობს ამ მიმართულებით. შეუძლებელია კიბერუსაფრთხოების მაღალი დონის უზრუნველყოფა შესაბამისი უნარ-ჩვევებით აღჭურვილი კადრების გარეშე როგორც სახელმწიფო, ისე კერძო ორგანიზაციებში. მოხარული ვარ, რომ უკვე მეხუთედ საქართველოში, სხვადასხვა სახელმწიფო და კერძო სტრუქტურის შესაბამისი პროფილის თანამშრომლებს საშუალებას ვაძლევთ მონაწილეობა მიიღონ რეალურ სავარჯიშოებში და გამოსცადონ საკუთარი თავი იმიტირებული კიბერშეტევების გაუვნებელყოფის პროცესში”, - დასძინა საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოადგილემ.

ღონისძიება შეჯიბრის ხასიათს ატარებს, რომლის დროსაც თითოეული მონაწილე გუნდი წინასწარ მომზადებული კიბერშეტევის პირობებში ახორციელებს ვირტუალური სივრცის დაცვის ოპერაციას. სავარჯიშოს შედეგად ანალიზდება თითოეული გუნდის სუსტი და ძლიერი მხარეები და გუნდების გაძლიერების მიზნით მზადდება რეკომენდაციები.

მსგავსი ფორმატი მსოფლიოში მიღებული პრაქტიკაა და მას “წითელი და ლურჯი” ჯგუფების სავარჯიშოებს უწოდებენ.

„როდესაც 2014 წელს „Cyber-Exe საქართველო“ პირველად ჩავატარეთ, მაშინ არ გვქონდა სათანადო გამოცდილება და ჩვენი უცხოელი კოლეგები გვეხმარებოდნენ სავარჯიშოების შედგენის, მთლიანად ღონისძიების ფორმატის ფორმირების საქმეში. ახლა სიამაყით მინდა აღვნიშნო, რომ ბოლო სამი ღონისძიება მთლიანად „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ რესურსებით არის ორგანიზებული და სავარჯიშოების პროგრამაც ჩვენი სპეციალისტების მიერაა შედგენილი. დღევანდელ ღონისძიებაში 25-მდე სხვადასხვა სახელმწიფო თუ კერძო სექტორის წარმომადგენლებით დაკომპლექტებული გუნდი იღებს მონაწილეობას. იმედი მაქვს, რომ მსგავსი სავარჯიშოები ჩვენს ქვეყანას კიდევ უფრო გააძლიერებს კიბერუსაფრთხეებთან ბრძოლის საქმეში“, - აღნიშნა დავით ქვათაძემ, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ სამთავრობო კომპიუტერულ ინციდენტებზე სწრაფი დახმარების ჯგუფის (CERT-GOV-GE) მენეჯერმა.

ღონისძიებაში მონაწილე გუნდებს მიეცათ კონკრეტული დავალებები, კერძოდ, სხვადასხვა სირთულის კიბერინციდენტის გამოვლენა და მათი დროული აღმოფხვრა. თითოეული გუნდი მინიმუმ ერთი და მაქსიმუმ სამი წევრისგან შედგება და მონაწილეთა საერთო რაოდენობა 60-ს აღემატება. სავარჯიშოები მთელი დღის განმავლობაში მიმდინარეობდა.

პირველი “CYBER-EXE საქართველო” „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ინიციატივით 2014 წელს გაიმართა. წელს ღონისძიების მხარდამჭერები იყვნენ კომპანია „ჰუავეი“ (Huawei) და ნატო-საქართველოს პროფესიული განვითარების პროგრამა (NATO-GEORGIA PDP).



## საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს კვალიფიციური სანდო მომსახურებისა და ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის შესახებ ტრენინგი ჩაუტარდათ



საჯარო და კერძო სექტორის წარმომადგენლებს 13-14 დეკემბერს სასტუმრო „თბილისი მარიოტში“ ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული სანდო მომსახურების სამართლებრივი ასპექტების, ასევე ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (My.gov.ge) პრაქტიკული დანიშნულების შესახებ ტრენინგი ჩაუტარდათ. ღონისძიება საქართველოს იუსტიციის

სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ორგანიზებითა და USAID-ის დემოკრატიული მმართველობის ინიციატივის (GGI) მხარდაჭერით ჩატარდა.

ტრენინგს საქართველოს იუსტიციის საჯარო სამართლის იურიდიული პირების - “მონაცემთა გაცვლის სააგენტოსა” და “სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს” წარმომადგენლები უძღვებოდნენ, რომლებმაც დამსწრე აუდიტორიას კვალიფიციური სანდო მომსახურებისა და ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (My.gov.ge) პრაქტიკული დანიშნულების შესახებ ინფორმაცია მიაწოდეს. ტრენინგის მიზანი საჯარო და კერძო სექტორში მომუშავე შესაბამისი პერსონალისთვის სიახლეების გაცნობა და ცვლილებებთან მიმართებით მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევების ამაღლება იყო, რაც შემდგომში მომხმარებლისთვის ხარისხიანი მომსახურების გაწევას უზრუნველყოფს.

„აღნიშნულ ტრენინგს დიდი მნიშვნელობა აქვს, ვინაიდან საქმე ეხება სიახლეებს როგორც ელექტრონულ დოკუმენტზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულების ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის გამოყენების, ისე ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალზე განხორციელებული ძირეული ცვლილებების მიმართულებით. ჩვენ საგანგებოდ შევარჩიეთ ორი სემინტი - საჯარო სამსახურებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები, ვინაიდან, პირველ რიგში, სწორედ მათ უნდა მიიტანონ აღნიშნული სიახლეები საზოგადოებამდე. მოგეხსენებათ, რომ ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალზე თავმოყრილია ისეთი სერვისების აბსოლუტური უმრავლესობა, რომელთა მოხმარებაც ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის გამოყენებას საჭიროებს, ამდენად ტრენინგის მონაწილეებისთვის პორტალზე განხორციელებული ცვლილებების შესახებ ინფორმაციის მიწოდებაც მეტად მნიშვნელოვანია“, - ნიკოლოზ გაგნიძე, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ თავმჯდომარე.

კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/შტამპი კომუნიკაციის თანამედროვე ფორმის განუყოფელი ნაწილია და უსაფრთხოების მაღალ სტანდარტებთან შესაბამისობის გამო მისი გაყალბება პრაქტიკულად შეუძლებელია. კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის გამოყენება ამარტივებს ურთიერთობის პროცესს როგორც სხვადასხვა უწყებასთან და მომსახურების გამწევ ორგანიზაციასთან, ისე საქმიან პარტნიორებს შორის (გაგრძელება გვ. 4).

(გაგრძელება. დასაწყისი გვ. 3) 2018 წლის 1 ივლისიდან (ხოლო 2019 წლის 1 იანვრიდან სახელმწიფო შესყიდვებში მონაწილეობის მიღების შემთხვევაში) თუ ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი ადმინისტრაციულ ორგანოსთან ურთიერთობისას კომუნიკაციის ელექტრონულ ფორმას აირჩევს და მის მიერ წარდგენილი დოკუმენტი ხელმოწერას ან/და შტამპს საჭიროებს, სავალდებულოა დოკუმენტზე კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერის შესრულება ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპის დასმა. კვალიფიციური სანდო მომსახურებების გამოყენებით მკვიდრდება ელექტრონული დოკუმენტების დაცვის მაღალი სტანდარტი.

აღსანიშნავია, რომ 2017 წლის 21 აპრილს მიღებულ იქნა „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც განსაზღვრავს ელექტრონული დოკუმენტის, ელექტრონული ხელმოწერისა და ელექტრონული სანდო მომსახურების გამოყენების სამართლებრივ საფუძვლებს.

აღნიშნული კანონით კვალიფიციურ ელექტრონულ ხელმოწერას აქვს პირადი ხელმოწერის თანაბარი იურიდიული ძალა და შესაბამისად მისი გამოყენება დასაშვებია ადმინისტრაციული წარმოებისას და სასამართლოში. ამ წესიდან გამონაკლისი დაიშვება მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე.

ინფორმაციისთვის, სსიპ „სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტომ“ „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, აუდიტი გაიარა საერთაშორისოდ აღიარებულ აუდიტორულ კომპანიაში, რომლის დასკვნის საფუძველზე მიიღო ავტორიზაცია და ქვეყანაში ერთადერთ სანდო მომსახურების გამცემ ორგანიზაციად განისაზღვრა.

„მონაცემთა გაცვლის სააგენტომ“ კი ამოქმედა ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალის (My.gov.ge) განახლებული ვერსია, რომელიც ისეთ სერვისებსაც აერთიანებს, სადაც საჭიროა ელექტრონული ხელმოწერის/შტამპის გამოყენება.



### სამუშაო შეხვედრა სსიპ „სმარტ ლოჯიკის“ თანამშრომლებთან

მიმდინარე წლის 22-23 დეკემბერს იუსტიციის სასწავლო ცენტრის ყვარლის ფილიალში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ ინფორმაციული უსაფრთხოებისა და პოლიტიკის სამმართველოს თანამშრომლების, ამავე სამინისტროს სსიპ „სმარტ ლოჯიკის“ დირექტორისა და ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერის ერთობლივი მონაწილეობით ჩატარდა სამუშაო შეხვედრა სსიპ „სმარტ ლოჯიკის“ თანამშრომლებისთვის (გაგრძელება გვ. 5).

სამუშაო შეხვედრა ეძღვნებოდა „ინფორმაციული უსაფრთხოების შესახებ“ საქართველოს კანონთან და კანონქვემდებარე აქტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად სსიპ „სმარტ ლოჯიკში“ განხორციელებულ აქტივობებსა და სამომავლო გეგმებს. შეხვედრის ფარგლებში სსიპ „სმარტ ლოჯიკის“ ინფორმაციული უსაფრთხოების მენეჯერმა და ინფორმაციული უსაფრთხოების საბჭოს წევრებმა განიხილეს და შეაჯამეს ინფორმაციული უსაფრთხოების ინციდენტები და მათი მოგვარების გზები.



ზემოაღნიშნულ შეხვედრას წინ უძღვოდა სსიპ „მონაცემთა გაცვლის სააგენტოს“ და სსიპ „სმარტ ლოჯიკს“ შორის გაფორმებული ერთწლიანი ხელშეკრულება ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემის სსიპ „სმარტ ლოჯიკში“ დანერგვის თაობაზე, რომელიც ორივე მხარის აქტიური ჩართულობისა და ეფექტური მუშაობის შედეგად წარმატებით დასრულდა.

სსიპ „სმარტ ლოჯიკში“ დანერგილი ინფორმაციული უსაფრთხოების მართვის სისტემა ორგანიზაციას საშუალებას აძლევს დაიცვას ინფორმაციული აქტივები როგორც შიდა, ისე გარე საფრთხეებისგან. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სსიპ „სმარტ ლოჯიკმა“ შეიმუშავა და დანერგა ეფექტიანი და ქმედითი ინფორმაციული უსაფრთხოების შიდასამსახურებრივი გამოყენების წესები და ინფორმაციული უსაფრთხოების პოლიტიკა, რომელიც წარმოადგენს სახელმძღვანელოს ინფორმაციული სისტემების მართვისა და დაცვის პროცესში.

იხილეთ ჩვენი საიტები

[www.dea.gov.ge](http://www.dea.gov.ge); [www.my.gov.ge](http://www.my.gov.ge)

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო

უნივერსიტეტის ქ. 50  
თბილისი 0102, საქართველო  
ტელეფონი: (+ 995 32) 291 51 40  
ელფოსტა: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge)

საქართველოს იუსტიციის სამინისტრო

მონაცემთა გაცვლის  
სააგენტო



თუ ხართ ახალი მომხმარებელი ან კვლავ გსურთ საინფორმაციო ფურცლის გამოწერა, გთხოვთ გამოაგზავნოთ ელექტრონული შეტყობინება მისამართზე: [info@dea.gov.ge](mailto:info@dea.gov.ge) და სათაურში მიუთითოთ “Subscribe” ან დაარეგისტრირდეთ თქვენი ელექტრონული ფოსტის მისამართი ვებ გვერდზე: [www.e-government.ge](http://www.e-government.ge)

თუ არ გსურთ, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს საინფორმაციო ბიულეტენის მიღება, გთხოვთ